ცნობის ფურცელი

№ 1775 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 კვირა, 7 აპრილი № 1775

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

„ცნობის ფურცლის“ მე-1776 №-რი გამოვა სამშაბათს, 9 აპრილს

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ სურათებიანი დამატების მე-35 ნომერი.

11 აპრილს, ხუთშაბათს, სოფ. რიონში, (ქუთაისის მაზრა) გადახდილ იქნება გარდაცვალებულის

იოველ მესხის

სულის მოსახსენებლად ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი.

დედა მიცვალებულისა **თეო** და ძმანი: პოდპოლკოვნიკი **ისმაილ, ვლადიმერი** და **ნოე მესხები**, სთხოვენ ნათესავთ და ნაცნობთ მობრძანდნენ დასასწრებლად. (1—219—1)

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი“
სურათებიანი დამატებით

1-ლ აპრილიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **5** მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ქალაქის მეორე საარჩევნო ნაწილის ამომრჩეველთა წრე
იწვევს იმ პირთ, რომელთაც აქვთ ქონებითი, სავაჭრო ანუ სამრეწველო ცენზი,

კერძო კრებაზე

სათათბიროდ 7 აპრილს, შუა დღის 12 საათზე, ალა-მურადოვის სახლში, ავლაბარში, ქალაქის ქალთა სკოლის სადგომში, ბეგლაროვის ქუჩაზე, რათა შეადგინონ **ხმოსანთა კანდიდატების სია** მომავალ ოთხის წლისათვის—1902—1906 წ.წ. (1—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

პ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგის ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი
ვახტანგ ლამბაშიძე
შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24 ტელეფონი № 642.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმიო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ბათუმში
ამა მარტის 10-დან გაიხსნა პირველ ხარისხოვანი საუკეთესო
სასტუმრო „ორიენტალ“
რომელიც მოთავსებულია საგანგებოდ აშენებულ სახლში ნავთსადგურის პირდაპირ, ზღვის, პირად. სასტუმრო მშვენიერად მოწყობილ-მორთულია; განათება ელექტრონული; ზღვის აბანო; საუკეთესო მზარეული; მოსამსახურენი—თავაზიანი და მარჯვე. ფასები იაფი ყველაფერზე. ტელეფონი № 141.
(615—7) სასტუმროს პატრონი ე. ზერმენიშვილი

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქუთაისში, ვ. ბექანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცელი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ.

ქ. ბათუმში
იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“
სპ. ქელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—19)

საგულისხმო იუბილეი

„ნეტარ არს, ვინცა ნაყოფი ნაშრომთა თვისთა სჭამოსა“-ო ნათქვამია და ამ ჩვენის წერილის საგანიც სწორედ ის „სანეტარო ნაყოფია“, რასაც შრომის ნაყოფს ვეძახით და რის „ჭამაც“ მხოლოდ რჩეულთ ჰხვდებათ წილად.

ამ ბოლო დროს ჩვენმა ქვეყანამ ერთი კარგი წესი გადმოიღო ევროპისაგან: თვალსაჩინო მოღვაწეს განსაზღვრულ ხნის შემდეგ საჯაროდ მადლობას უხდიან და იმის ამაგსა და ღვაწლს შესაფერის სიტყვით იხსენიებენ. ამგვარის პატივით მოხსენიება უმეტეს ნაწილად მწერალთა, მეცნიერთა და ხელოვანთა ხვედრია და, რა თქმა უნდა, ამ წრის ადამიანნი, მოუძლურებულნი ხორცით, სულიერს ნეტარებასა და აღმაფრენას გრძნობენ მისდა მიმართ სამადლობლად მიძღვნილის საერთო ლაღადით.

ნურავინ იტყვის, რომ მუშაკს, რა წრისაც უნდა იყოს იგი, არ ესიამოვნოს თვისის ნაშრომის დაფასება. თვალთმაქცობაა ვინც იმას ამბობს, მე-კი ვშრომობ და ჩემზე გინდ ავი სთქვან და გინდ კარგი, არად ჩავაგდებო. ეს იმასა ჰგავს, მთესველმა სთქვას—მე კი გადავყრი ხორბალს ამ ხნულში და ამოვა თუ არა, ეგ ჩემთვის სულ ერთიაო. და განა მთესველს გული გაუძლებს თვალი არ გადაავლოს თავის ნაშრომ-ნაღვაწს და სიხარულით არ გაიღიმოს, თუ ღმერთმა გულის წადილი აუსრულა და პატიოსანის ოფლით გაპოხიერებულმა ნიადაგმა მწვანე ჯეჯილი აღმოაცენა? კაცი კაცად მისამჩნევი არ იქნებოდა, თუ მას თავისი შრომის ნაყოფი არ ახარებდეს—სულ ერთია, მეცნიერებისა, ხვნა-თესვისა, კალატოზობისა, თუ მეჯღანეობისაგან იქმნება ეს ნაყოფი გამოღებული. შრომა შრომაა, რა დარგისაც უნდა იყოს იგი, ყველასაგან პატივსადებია, რადგან ერთი უმეოროდ უქმია ისე, ვითა წისქვილის ქვა უღერძოდ, ღერძი უბორბლოდ, ბორბალი უფირფიტოდ და ფირფიტი—უწყლოდ.

ბოდიშს ვიხდით მკითხველთან, თუ მისი თვალი და გულის-ყური ამ საანბანო ჭეშმარიტების ჩამოთვლით მოვაცდინეთ და მოკლედ სათქმელი სიტყვა გავაჭიანურეთ, მაგრამ ამასაც თავისი მიზეზი აქვს. ეს მიზეზი კი ის არის, რომ დღევანდელის ჩვენის წერილის საგანი არც მწერალია, არც მეცნიერი, არც არტისტი და არც რომის პაპა,—ეს გახლავთ უფრაკო და უკაკარდო ხელებ გამურული ასოთ-ამწყობი დიომიდე კილაძე.

სწორედ ამ წლის ორს აპრილს შესრულდა ოცდა-ათი წელიწადი, რაც დიომიდე სტამბის საქმეს ადგია, და ამ ხნის განმავლობაში იგი პირნათლად და გულის წმინდით ემსახურება თავისს ხელობას. 1872 წლიდან დაწყებული, როცა ჩვენი ახლად ფეხ-ადგმული ჟურნალ-გაზეთობა ჭაპან-წყვეტით მოათრევდა თავისს მძიმე ტვირთს, დიომიდეც მხარ-და-მხარ ეწეოდა საერთო ულელსა და, უკეთეს მომავალით დაიმედებულს, ერთხელაც არ უღალატნია პატიოსან მუშაკის მოვალეობისათვის. იგი აწყობდა „დროება“-ს, „ივერია“-ს, „კრებულს“ და სხვათ. *)

ჩვენგან ჩამოთვლილ ჟურნალ-გაზეთთა შორის ბევრია ისეთიც, რომელთა გამოცემა არც პატრონისათვის იყო ჯიბის ზარაქა და, მაშასადამე, ვერც მუშას მისცემდა ღირსეულს სასყიდელს. ერთად ერთი სურვილი რედაქტორისაცა და ასოთ-ამწყობისაც ის იყო, კეთილი დ სასარგებლო აზრი გაეზიარებინათ თავისიანებისათვის. განსვენებულის სერგეი მესხის დროს დიომიდე ერთი გულითადი მონაწილე იყო გაზეთის ავ-კარგისა; დიომიდე თითქმის თანამედროვეა ჩვენის საუკეთესო მოღვაწეებისა: იმას ბევრჯერ უნახავს სერგეი მესხი სტამბაში საცოდავად მთვლიმავი; ბევრჯერ უნახავს ილია ჭავჭავაძე, რომ მარტოდ-მარტო იჯდა სტამბაში და ღამის პირველ, ორ საათამდე გაზეთის კორრექტურას ჩაჰკირკიტებდა და სხვა. ყველა ამაების მნახველია დიომიდე და ყველა ამათს შრომასთან ამ ოცდა-ათის წლის განმავლობაში მისი ოფლიც დაღვრილა, მისი სული და გულიც თანამოზიარე ყოფილა.

დღეს, შედარებით, გაზეთიც უკეთესს მდგომარეობაშია და იმისი მუშაც, მაგრამ იმ დროს ორივე შესაბრალისი იყო. და სწორედ იმიტომაცაა პატივისცემით მოსახსენებელი ეს პატიოსანი მუშა, რომ ქედი არ მოიხარა მძიმე ტვირთ ქვეშ და ამ ხნის განმავლობაში მხნედ სწია უჩინარი, მაგრამ საჭირო, უღელი.

უჩინარი-მეთქი, ვამბობთ, რადგან უმეტესმა ნაწილმა არ იცის, რამდენი ფათერაკი სდევს საზოგადოთ გამოცემის საქმეს და კერძოდ—ყოველ დღიურს გაზეთს. ამის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს დ არც ჩვენის წერილის საგანს შეადგენს. მხოლოდ ერთს მოგახსენებ, ჩემო მკითხველო: თუ შენ ხან-და-ხან გაზეთი არ მოგეწონება და უმადურად გადააგდებ ხოლმე—შიგ არა ჰყრია-რაო,—ამავე დროს გახსოვდეს, რომ ეგ „არა-რაც“ სისხლის ოფლით ნამოღვაწევია... და თუ ჩვენ ხუთისა და ათის წლის თავისუფალ შრომისათვის მადლობასა და დაფასებას მოველით, ოცდა ათის წლის განმავლობაში დღითა და ღამით მომუშავესაც ფუჭად ვერ ჩავუტარებთ თავისს ნაამაგდარს.

დიომიდე იყო მიმრქმელი ჟურნალ „მოამბისა“, მანვე იშვილა განახლებული „ცნობის ფურცელი“ და, როგორც ღირსეულს მოთავეს ქართველთა ამხანაგობის სტამბის მუშებისას, სხვებთან ერთად ვაძლევთ ხელს და ვულოცავთ ოცდა-ათის წლის მუშაობას.

განდეგილი

შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი

გუშინ ტელეგრაფმა შეგვატყობინა, რომ, უმაღლესის ბრძანებით, გარდაცვალებულის სიპიაგინის მაგიერ შინაგან საქმეთა მინისტრად ვიაჩესლავ კონსტანტინეს ძე ფონ—პლევე დაინიშნა.

ფონ-პლევე დაიბადა 1846 წელს, ასე რომ ამ ჟამად 56 წლის კაცია. უმაღლესი სწავლა მან მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. სამსახური დაიწყო სასამართლო უწყებაში; მალე დაწინაურდა და 1880 წელს დაინიშნა პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორად. 1881 წელს ფონ-პლევე გამოვიდა სასამართლო უწყეიდან და მას შემდეგ იწყება მისი უმთავრესი სახელმწიფო მოღვაწეობა. 1881 წელსვე ის დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად. მალე მას ჩაებარა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის თანამდებობა; ბოლო ხანებში-კი დაინიშნა სახელმწიფო მდივნად და ფინლანდიის სტატს-სეკრეტრად.

ფონ-პლევემ თავისი სახელმწიფო მოღვაწეობა დაიწყო ცნობილ დიმ. ტოლსტოის

---

*) 1872—1874 წლამდე „დროება“-„კრებულზე“ მუშაობდა. 1874—1877 წლამდე მუშაობდა „მეურნე“-ზე (ა. ფურცელაძის რედაქტორობით), „სასოფლო გაზეთზე“ (ვ. უმიკაშვილისა), „ცისკარზე“ (ი. კერესელიძისა). 1877 წელს „ივერია“ დაიბადა, დიომიდეც ამის აწყობას დაადგა. 1880 წელს „ივერია“ და „დროება“ შეერთდნენ—დიომიდეც აქ გადავიდა; 1881 წელს „ივერია“ ჩამოშორდა „დროება“-ს და დიომიდე „დროება“-ს შერჩა, სადაც მუშაობდა 1887 წლამდე, როდესაც ეს გაზეთი სრულებით მოისპო მთავრობის განკარგულებით. 1888 წლიდან „ივერია“ ყოველ დღიურ გაზეთად გადაკეთდა და დიომიდეც ამ გაზეთს შერჩა 1891 წლამდე. შემდეგ 1893 წლიდან დიომიდე მუშაობდა „კვალზე“, ხოლო 1894 წლიდან „მოამბე“-ზე, რომელსაც 1899 წლიდან „ცნობის ფურცელიც“ დაემატა.

ხელმძღვანელობით და შემდეგ მარჯვენა ხელი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის დურნოვოსი. უკანასკნელის დროს მას არა ერთხელ გაუწევია მინისტრის მაგიერობა. უკანასკნელ წლებში, როდესაც მთავრობა შეუდგა ფინლანდიაში სხვა და სხვა ცვლილების განხორციელებას, ფონ-პლევე არჩეულ იქმნა დიდ სამთავროს სტატს-სეკრეტრად, როგორც ენერგიული აღმსრულებელი მთავრობის განზრახვათა და პროექტთა.

საზღვარ-გარედ

სამხრეთ-აფრიკა. გაზეთ „ნოვოსტი“-ს კორესპონდენტის დეპეშა 30 მარტს: „ინგლისის მეფე მოულოდნელად დაბრუნდა თავის იახტიდან ლონდონში. აქვე დეპეშით მიწვეულია ყველა მინისტრები. როგორც ამბობენ, დღევანდელი სხდომა სამინისტროსი პასუხს მისცემს ბურების კლერკსდორპის კონფერენციას ზავის პირობების შესახებ. ლაპარაკობენ დროებით ზავის ჩამოგდებაზე. ჩემბერლენის ავადმყოფობას ეჭვის თვალით უყურებენ და ამტკიცებენ, რომ მინისტრებ შორის უთანხმოებაა. ინგლისის ბევრ ქალაქებში ბაირაღები გამოჰფინეს და დღესასწაულები გამართეს. სამხედრო სამინისტროს ყოველის მხრიდან ეკითხებიან ზავზე მოლაპარაკების შესახებ. გაზეთების უმრავლესობა ზავის მომხრეა. „ტაიმს“-ი და „დეილი ნიუს“-ი აფრთხილებენ ხალხს გადამეტებულ ოპტიმისმისაგან“.

გაზეთ „ნოვოე ვრემია“-ს დეპეშა, 31 მარტს: „ტრანსვაალისა და ორანჟეს ბურები შეთანხმდნენ ზავის პირობების შესახებ და ეს გარემოება შეატყობინეს კიტჩენერს, რომელმაც ისინი პრეტორიაში მიიწვია. ზავის კონფერენციაზე შალკ-ბურგერი და ბოტა ტრანსვაალის წარმომადგენლებია, დელარეი, შტეინი და დევეტიო—რანჟეს რესპუბლიკისა. გუშინ-წინ და გუშინ ინგლისის სამინისტრომ განიხილა ბურებისაგან წარმოდგენელი პირობები და გაუგზავნა კიტჩენერს საბოლოოდ შემუშავებული ინსტრუქცია. როგორც ისმის, ბურები თანახმა არიან უარი სთქვან სრულ დამოუკიდებლობაზე, თუ შინაგან თვითმმართველობის (ავტონომიის) გარანტია ექმნებათ. ისინი თხოულობენ აჯანყებულ აფრიკანდერების სრულ ამნისტიას და სურთ, რომ ორი ნეიტრალი სახელმწიფო იქმნეს თვალ-ყურის მგდებელი ინგლისის მიერ ზავის პირობების შესრულებისა“.

დავუმატოთ ამას დღევანდელი ლონდონელი დეპეშა. ბურებმა მიიღეს ინგლისის პირობებიო და უნდა დავრწმუნდეთ, რომ სამხრეთ-აფიკაში სანატრელი მშვიდობიანობა დღეს არა ხვალ დამყარდება. მაგრამ რა ვუყოთ როტერდამის დღევანდელსავე დეპეშას, რომელიც გვარწმუნებს—დღევანდელ წყაროდან ვიცით, რომ ზავზე მოლაპარაკება შესწყდა, რადგან ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა მხარეების მორიგებაო.

ბაღდადის რკინის გზა. გერმანულ სამხედრო ჟურნალ „იუბერალ“-ში დაიბეჭდა საინტერესო წერილი პოლკოვნიკ ფონ ბიბერშტაინისა ბაღდადის რკინის გზის შესახებ. შინაარსი ამ წერილისა მოყვანილია „ნოვოე ვრემია“-ში. პეტერბურგელ გაზეთის აზრით, წერილის ავტორს მასალად ჰქონია გარდა უკვე დაბეჭდილ ცნობებისა, ზოგი საიდუმლო ცნობებიც, რომელნიც ბერლინის კანცელიარიებში ინახებიან.

პირველად ბიბერშტაინი ეხება ბაღდადის რკინის გზის სავაჭრო მნიშვნელობას ცენტრალურ ევროპისა, ინდოეთისა და აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთისათვის. ავტორის აზრით, „რკინის გზა ვერ გაუწევს საგრძნობელ კონკურენციას სუეცის არხს; ამიტომ ბაღდადის რკინის გზით გადაიტანენ მხოლოდ დიდის ფასის საქონელსა და პატარა სიდიდისას; მგზავრებიც რკინის გზას არჩევენ, რადგან იგი უფრო ადრე მიიყვანს დანიშნულ ადგილს. მაგრამ ბაღდადის რკინის გზის მსოფლიო მნიშვნელობა ინდოეთ-ევროპის ტრანზიტის გარეშეა: ეს გზა მით არის დიდ მნიშვნელოვანი, რომ იგი შეიქმნება ის დედა-ძარღვი, რომელიც ახალ სისხლს შეაჩქეფს მოუძლურებულ ოსმალეთს და აღორძინებას მას ახალ ცხოვრებისათვის.

ბევრი ჰფიქრობს, ვითომც ბაღდადის რკინის გზას გერმანიისთვის პოლიტიკური მნიშვნელობა არ ჰქონდეს. ეს აზრი ყოვლად უსაფუძვლოა. ამ რკინის გზის გაყვანა გააუმჯობესებს ოსმალეთის მდგომარეობას არა მარტო ეკონომიურად, იგი აამაღლებს მის პოლიტიკურ მნიშვნელობასაც. ეს კი მეტად სასარგებლოა გერმანიისათვის, რადგან ოსმალეთია ის დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის რუსეთს მიაღწიოს ხმელთა შუა ზღვას; ამ დაბრკოლებამ რომ თავისი დანიშნულება შეაჩეროს, იგი მართლა უძლეველი უნდა იყოს. რუსეთის სტიქიონურ მოძრაობას სამხრეთისაკენ შეაჩერებს მხოლოდ რეალური ძალა და არა ტრაქტატები; რუსეთის სამხედრო ფლოტი (შავის ზღვისა) ვერ გადის ბოსფორსა და დარდანელში მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ბოსფორისა და დარდანელის ზარბაზნების ეშინია. მაგრამ რუსეთმა რომ მცირე აზიით გასწიოს ხმელთაშუა ზღვისაკენ, ოსმალეთი მას წინაამდეგობას ვერ გაუწევს. ბაღდადის რკინის გზის გაყვანით-კი გარემოება შეიცვლება: გერმანელების ხელში ეს გზა შეიქნება ის ბარიერი, რომელსაც რუსეთის კოლოსი ვერ გადაალაჯებს.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ბაღდადის რკინის გზის დამცველებად გერმანელი ჯარის კაცები იქნება. არა, რკინის გზით ბოსფორის სპარსეთის ყურესთან შეერთების შემდეგ იმდენად გაძლიერდება ოსმალეთი სამხედრო საქმის მხრივ, რომ მას შეეძლება წინააღუდგეს კავკასიისა და შავის ზღვის ნაპირების რუსის ჯარებს.

ეხლა ოსმალეთის გაბნეულ ჯარის თავის მოყრას დიდი დრო სჭირდება. რკინის გზით კი ჯარების გადაყვან-გადმოყვანა დიდის სიჩქარით მოხდება: ოსმალეთს შეეძლება დიდ-ძალი ჯარი შეჰყაროს გინდა მცირე აზიის ჩრდილოეთ საზღვრებზე და გინდ კონსტანტინეპოლთან. ეხლა რუსის ჯარის წინააღმდეგ სდგას მეოთხე კორპუსი (აზრუმის ვილაიეტში). მეექვსე (ბაღდადის ვილაიეტში) და მეხუთე კორპუსები (დამასკში) კი მეტად დაშორებული არიან საზღვრებიდან. რკინის გზა, რომელიც გაივლის მთელ სტრატეგიულ ფრონტს, სრულებით შესცვლის ეხლანდელ მდგომარეობას და დაქსაქსულ, ერთმანეთისაგან დაშორებულ, ჯარებს შეაერთებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოსმალეთისათვის ის გარემოება, რომ მას შეეძლება მოიხმაროს მეექვსე კორპუსი: ეს ჯარი მუდამ მოქმედებაშია, მუდამ ომი აქვს ქურთებთან და არაბებთან; ამიტომ იგი მეტად ძვირფასია თავის სამხედრო თვისებებით; ოსმალეთისათვის აუცილებელია, რომ მან შესძლოს ამ ჯარის დაყენება რუსების წინააღმდეგ, როცა ესენი ყარსიდან აზრუმზე წამოვლენ“.

ბოლოს ავტორი ეხება ბაღდადის გზის მნიშვნელობას ვაჭრობისათვის. ამ მხრივაც დიდი მომავალი აქვს გზას. ბოლოს შემდეგი დასკვნა გამოჰყავს გერმანელ ავტორს: „ბაღდადის რკინის გზა უძლიერესი და მეტად საიმედო იარაღია იმ ევროპიულ-აზიურ ძლიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც რუსეთი ჰქვია“.

ასეთ იარაღის გაჭედვის საქმეში მონაწილეა რუსეთის მოკავშირე საფრანგეთი და რა საკვირველია, რომ რუსები უკმაყოფილო იყვნენ ასეთის მეგობრობისა.

ბელგია. ბელგიელი ლიბერალები კონსტიტუციის გადასინჯვასა და საყოველთაო პირდაპირ და ფარულ საარჩევანო უფლებას თხოულობენ. კლერიკალური მთავრობა წინაამდეგია, რადგან მას განვითარებულ და გათვითცნობიერებულ ხალხის ეშინია. ხალხი ღელავს და დრტვინავს; ეს ღელვა და დრტვინვა ქუჩაზედაც გადავიდა. რამდენიმე დღეა განუწყვეტელი შეტაკებაა ხალხსა და პოლიციას შუა. ბევრია დაჭრილი და, როგორც ამბობენ, დახოცილებიც.

მანჯურიის ხელ-შეკრულება. რუსეთისა და ჩინეთის წარმომადგენლებმა გაათავეს მოლაპარაკება მანჯურიის შესახებ და კონვენციას ხელი მოაწერეს. რუსეთმა 18 თვის განმავლობაში უნდა გაიყვანოს მთელი თავისი ჯარი მანჯურიიდან. სამაგიეროდ ჩინეთმა უნდა შეასრულოს ყველა ის ვალდებულება, რომელიც მან მიიღო თავზე 1896 წლის ხელშეკრულებით შესახებ რუსეთის რკინის გზისა მანჯურიაში და ზოგიერთ სხვა უპირატესობათა. ეხლაც და რუსის ჯარის გაყვანის შემდეგაც ჩინეთი ვერ მოუმატებს მანჯურიაში თავის ჯარების რიცხვს, თუ რუსეთი არ იქნება ამის თანახმა. ჩინეთი მოვალეა დაიცვას რუსეთის რკინის გზა მანჯურიაში; შანხაიგუანის რკინის გზა, რომელსაც რუსეთი უბრუნებს ჩინეთს, ვერ გადაეცემა ვერც ერთ უცხოელს; გარდა ამისა, ეს გზა ვერ შეუერთდება მანჯურიის რკინის გზას რუსეთის მთავრობის დაუთანხმებლად. ნიუ-ჩუანის ნავთ-სადგურს მაშინ გადასცემს რუსეთი ჩინეთს, როცა უცხოელები ტიანძინს თავს დაანებებენ.

რუსეთის გაზეთები თავ-გამოდებით ამტკიცებენ, რომ მანჯურიის ხელ-შეკრულებას არავითარი კავშირი არა აქვს ინგლის-იაპონიის დაკავშირების ფაქტთან. მანჯურიის კონვენცია შედეგია იმ მოლაპარაკებისა, რომელიც ერთის წლის წინად დაიწყო, და იგი ამტკიცებს რუსეთის მშვიდობის მოყვარეობასო. ის ფაქტი, რომ ეს შეთანხმება ინგლის-იაპონიის ხელ-შეკრულების გამოცხადების შემდეგ მოხდა, ყოვლად უმნიშვნელო არისო.

გერმანია. სატარიფო კომისიაში, რომელიც ამდენი ხანია მუშაობს და ვერ გაუთავებია ახალ სადამოჟნო პროექტის განხილვა, სხვათა შორის, ბებელმა ითხოვა, რომ „ბაჟი არ დაედოთ ამერიკულ ვაშლზე, რომელიც თავის სიიაფის გამო საყვარელი საჭმელი შეიქნა ღარიბ ხალხისათვის: თ ითონ გერმანელ მებაღეების ბრალია, თუ აქაც ამერიკელები სჯობიათ მათ. თუ საქმეს ცოდნით გაუძღვებიან, თუ ამხანაგობებს შეადგენენ ნაწარმოების გასასაღებლად, ამერიკელების კონკურენცია სრულებით საშიში არ იქნებოდა ადგილობრივ მებაღეებისათვის“. „მე მაკვირვებსო, შეუნიშნავს კონსერვატორ კარდორფს ბებელისათვის, რომ თქვენ ასე აღტაცებული ხართ ამხანაგობებით. მახსოვს, რომ თქვენ და თქვენი მეგობრები ასეთ დაწესებულებას ცალიერ და უმნიშვნელო თავის შექცევას უწოდებდითო“.

გაზეთის კორესპონდენტი არ იწერება, თუ რა უპასუხა ბებელმა ამ შენიშვნაზე. მაგრამ გვგონია, რომ ვერც ვერაფერს უპასუხებდა: შენიშვნა სამართლიანია: ბებელი და მისი ამხანაგები მართლაც დასცინოდნენ „ამხანაგობას“ და თავის მოტყუვილებად სთვლიდნენ მას. მაგრამ დრო შეიცვალა და ბებელის პარტიის პროგრამის ბევრი მუხლი თუ ქაღალდზე არა, პრაქტიკულ მოქმედებაში მაინც ძირეულად შეიცვალა. შეიცვალა ის შეხედულებაც, რომელიც გერმანელ დემოკრატებს ჰქონდათ ამხანაგობების შესახებაც. იმავე კორესპონდენტის სიტყვით, ეხლა უმთავრესი პიონერები მომხმარებელ და მწარმოებელ საზოგადოებებისა სოციალ-დემოკრატიის მომხრე მუშები არიან. უდიდესი მომხმარებელი ფურნეები გერმანიაში მათ ხელშია. ბრესლავლში ჰამბურგში, ლეიფციგში ამ მუშებმა შეჰქმნეს ამ ტიპის სამაგალითო ფურნეები და დააყენეს იმ დონეზე, რომელზედაც სდგანან ინგლისის და ბელგიის საუკეთესო საზოგადოებები. ბრესლავლის მომხმარებელ საზოგადოების უკანასკნელ ანგარიშიდან სჩანს, რომ მას 70 ათასამდე წევრი ჰყავს; წლის განმავლობაში დაუტრიალებია საზოგადოებას $13_1/_2$ მილიონი; წმინდა მოგება ჰქონია—$1^1/_2$ მილიონი. სათადარიგო თანხა უდრის 550 ათასს, 200 ათასი საზოგადოებას აქვს საპენსიო კასაში, რომელიც დანიშნულია საზოგადოებაში მოსამსახურეთათვის: საზოგადოებას ჰყოლია 80 კანტორის მოხელე, 12 უფროსი ნოქარი, 209 გამყიდველი ქალი, 80 ხაბაზი, სამოცი მეეტლე და დამტარებელი და სხვა.

ახალი ამბავი

◆ 2 აპრილს შესრულდა 30 წელიწადი მას შემდეგ, რაც ასოთ-ამწყობი **დიომიდე კილაძე***) შეუდგა ბეჭდვითი საქმის ძნელს სამსახურს. წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობა ამის აღსანიშნავად დღეს აწვდის იუბილიარს საჩუქარს: ვერცხლის „ვერსტატს“ წარწერით: „დიომიდე კილაძეს 30 წლის სინიდისიერ მუშაობის სახსოვრად (1872—1902)“. მომავალ დღესასწაულებში გაიმართება ხელის მოწერით სადილი იუბილიარის პატივსაცემლად; ვისაც ჰსურს ბეჭდვითი საქმის მუშაკთა და მოღვაწეთაგან მონაწილეობა მიიღოს ამ სადილში, უნდა განაცხადოს ამხანაგობის კანტორაში.

◆ **საფაბრიკო საქარხნო საკრებულოს** სხდომა დანიშნულია 19 აპრილს. ამ საკრებულოს ექვემდებარება ტფილისში 60 ფაბრიკა და ქარხანა. ამ ქარხნების პატრონებმა—ორმოცამდე კაცმა—წარმოუდგინეს საკრებულოს თავიანთი შემუშავებული წეს-წყობილება ქარხნებში. გარდა ამისა, საფაბრიკო წესდების 65 მუხლის ძალით, საფაბრიკო ინსპექციამ წინადადება მისცა სახელოსნო ქარხნის პატრონებსაც, შეიმუშაონ და წარუდგინონ იმას პროექტი, რა პირობებით ჰყავთ დაქირავებული ხელოსნები, რა გვარი დამოკიდებულება არსებობს ხელოსანთა და ქარხნის პატრონთა შორის და სხვა.

◆ დღეს, შვიდ აპრილს, დანიშნულია **შემდეგი საზოგადო კრებები**: 1) ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა იმის განსახილველად, თუ როგორ მოიხმარონ უმაღლესად ბოძებული ფული და როდისთვის დაინიშნოს საზოგადო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა; 2) ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა საავთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობისა წარსულის წლის მოქმედების და სხვა საქმეების განსახილველად; 3) ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარის ასარჩევად, ნაცვლად გარდაცვალებულის ანტონ ყორღანოვისა და 4) ტფილისის დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა.

◆ როგორც მკითხველებმაც იციან, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას შარშან **სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის** გამართვაზე დეფიციტი მოუვიდა სულ 24,160 მან. 73 კაპ. გამოფენის დახურვის შემდეგ გაუქმდა გამოფენის გამგე კომიტეტიც და ყველა საქმეები სალიკვიდაციოდ გარდაეცა სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომელსაც მუდამ დღე ეხვევიან მოვალეები და დაკმაყოფილებას თხოულობენ. ამ დღეებში სამეურნეო-საზოგადოების საბჭომ დასაბუთებული მოხსენება წარუდგინა კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გოლიცინს და სთხოვს შუამდგომლობა გაუწიოს უმაღლეს მთავრობასთან, რომ მიეცეს საზოგადოებას მოვალეების დასაკმაყოფილებლად და გამოფენის საქმეების სალიკვიდაციოდ ან სახელმწიფო ხაზინიდან, ან საერობო თანხიდან 24,160 მან. 73 კაპ. ამასთანავე მთავარმართებელს წარედგინა დაწვრილებითი სია გამოფენის გამმართველ კომიტეტის კრედიტორებისა. კომიტეტის უმთავრესი კრედიტორები არიან: საკომერციო ბანკი, რომლისაც საზოგადოებას ჰმართებს 3000 მან., ტფილისის ქალაქის გამგეობა,—2605 მან. 24 კაპ., ინჟ. რაგოლერი 2621 მან. 80 კაპ., ბ. განინი—2003 მან. 54 კაპ. ბ. კაუფმანი—1588 მან. და ბ. ნოვაკი—1085 მან. და სხვანი.

◆ კავკასიის საიმპერატორო **სამედიცინო საზოგადოებამ** დაჰბეჭდა და დაურიგა წევრებს ახლად დამტკიცებული შეცვლილი წესდება საზოგადოებისა. უმთავრესი ცვლილებანი ეხებიან საზოგადოების მოქმედების გაფართოვებას; სახელდობრ: გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, საზოგადოებამ უნდა ეცადოს, რამდენადაც შესაძლებელია, კავკასიის მცხოვრებთა შორის გაავრცელოს სამედიცინო მეცნიერება, განსაკუთრებით ჰიგიენის შესახებ. გარდა ექიმებისა, საზოგადოების წევრებად შეიძლება იყვნენ ბეითალები, ფარმაციის მაგისტრები, პროვიზორები და ის პირნი, რომელთაც უმაღლესი სწავლა მიუღიათ ბუნების მეტყველების ფაკულტეტზე

◆ სტუდენტთა დამხმარებელ კავკასიის საზოგადოების დამფუძნებელთ თხოვნით მიმართეს ქალაქის გამგეობას, დაეხმარონ საზოგადოებას **ახალი წევრების** შეძენაში. ამასთანავე საზოგადოების მიმართულების და მიზნის გასაცნობად საზოგადოებამ გაუგზავნა ახალ წევრთათვის რამდენიმე ცალი წესდება.

◆ გუშინ, ტფ. ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად საბჭოს უკანასკნელი გარდაწყვეტილება, რომლითაც სტუდენტებს ქანანოვს, სოსიანცს, კატანიანცს და ისაკოვს უნდა დაენიშნოს ძმათა ამიროვების სახელობის **სტიპენდიები**. და აგრეთვე საბჭოს გარდაწყვეტილება, რომ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზე ორი სტიპენდია იქნეს დაარსებული ტფ. საბებიო ინსტიტუტში.

◆ ხვალ, 8 აპრილს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია საზოგადო კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა რამდენიმე მიმდინარე საქმეების განსახილველად.

◆ დღეს, 7 აპრილს, სიფხიზლის საზოგადოების თეატრში, ნაშუადღევს პირველ საათზე, წყალში დახრჩობისაგან გადამრჩე-

---

*) იხ. გაზეთში წერილი და დამატებაში სურათი.

ნელის საზოგადოების ტფილისის განყოფილების განკარგულებით, ქალაქის პოლიციის მოხელეთა და ქალაქის მცხოვრებთა გასაცნობად **განუმარტავენ**: წესებს მობანავეთათვის და დარიგებას წყალში გადავარდნილის შველაზე და დამხჩვლის მობრუნებაზე. ამ განმარტების კითხვის დროს ბუნდოვან სურათებსაც აჩვენებენ და დაბეჭდილ წესებსა და დარიგებას დაურიგებენ. კითხვაზე დასწრება უფასოა.

◆ ქალაქის გამგეობამ განიხილა საკითხი იმაზე, თუ რამდენი უნდა **დაენიშნოს პენსიად** გამგეობის წევრად ნამყოფს ხოსროევს და გადასწყვიტა, რომ ხოსროევს დაენიშნოს მომატებული პენსია. ამ კითხვას წარუდგენენ საბჭოს განსახილველად 8 აპრილს, ორშაბათს.

◆ „ჩერნომ. ვესტნიკ“-ის სიტყვით, ამ ჟამად ბათუმში იმყოფება ოსმალეთის ცნობილ გენერალის **სულეიმან-ფაშის მეუღლე** ფატიმე-ხანუმ, რომელიც სტამბულიდან ეწვია სტუმრად თავის ნათესავებს სანჯაკ-ბეკ აბაშიძეებს. ფატიმე-ხანუმ ევროპიულად განათლებული ქალია.

◆ ხუთ აპრილს მეტეხის ციხის ერთმა ზედამხედველთაგანმა მურაშკომ წაიყვანა ტუსაღი ამიროვი მიხეილის საავადმყოფოში, სადაც ამიროვს ზომა უნდა აეღო (ამიროვი მკერვალია) მოსამსახურეების ტანისამოსისა. როდესაც საავადმყოფოში გაათავეს საქმე და ციხეში მოდიოდენ, ამიროვი უცბათ ხელიდან გაუსხლტა თავის დარაჯს და ქუჩაში **მიიმალა**. შესძრეს მთელი უბნის პოლიცია, მაგრამ ვერ იპოვეს. ამიროვს სამის წლით პატიმართა რაზმში დატუსაღება ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ როგორც ხელოსანს, მკერვალს, მეტეხის ციხეში ინახავდნენ.

◆ ტფილისის ლომბარდში ამ უკანასკნელ დროს **მალიან ცოტას აგირავებენ** ნივთებს და ვისაც დაგირავებული აქვს ნივთები, ისინიც სულ იხსნიან; ასე რომ ამ ჟამად ქალაქის ლომბარდში 10,000 მდე მანეთია თავმოყრილი.

◆ სასანიტარო-საექიმო ინსპექტორმა მამართა ტფილისის პოლიცმეისტერს, დახურულ იქმნას მეექვსე საპოლიციო ნაწილში ექვსი **კონფეტის ფაბრიკა**, რომელიც ქალაქის ექიმებმა მეტად ანტი სანიტარულ მდგომარეობაში ნახეს. გარდა ამისა, ინსპექტორმა დაავალა ექიმებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კონფეტების ფერად საღებავს, რომელიც ქალაქის ქიმიური ლაბორატორიის გამგემ მეტად მავნედ იცნო სიმრთელისათვის.

უფრთხილდით უბრალო დუქნებში ტკბილეულობის სყიდვას.

◆ სასანიტარო-საექიმო ინსპექტორმა აღძრა შუამდგომლობა ქალაქის თვით-მმართველობის წინაშე, რომ, რადგანაც ტფილისში ცხოვრება გაძვირდა და საექიმო ნაწილის მოხელეები მეტად მცირე ჯამაგირს იღებენ, **მოემატოთ იმათ ჯამაგირები**: ბებია-ქალებს 25 მანეთიდან მიუხადონ 30 მან., ფერშლებს 30 მანეთიდან 40 მ. ამ შუამდგომლობასთან ერთად საექიმო ინსპექტორმა წარუდგინა გამგეობას მოსამსახურეთა თხოვნაც ამ საგანზე. ყველას დასაკმაყოფილებლად საჭიროა 2,220 მან.

◆ ხუთი აპრილის შეერთებულს სხდომაზე ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიისა გაშინჯული იყო **წყლის მილის ხარჯი**. შეერთებულმა სხდომამ შესამჩნევად შეამოკლა ეს ხარჯი, როგორც სრულიად მეტი. სხვათა შორის, კრებამ მოსპო 600 მან. ძღვევა, რომელიც იხარჯებოდა მილის წყლის თვისების გამოკვლევაზე.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა ქალაქის გამგეობამ შეთანხმებით გადასწყვიტეს, რაც შეიძლება, **შეამცირონ** სასმელების დუქნების და ტრაქტირების რიცხვი, ხოლო დიდ დასახლებულს და თვალსაჩენ ქუჩებზე სრულიად აღკრძალონ ამ გვარი დუქნების გახსნა.

◆ სასანიტარო-საექიმო საბჭოში აღიძრა კითხვა **ხაშხაშის ხმარების მოსპობაზე**, რომელიც ძალიან გახშირებულია საჩაიებში და ყავახანებში, მიუხედავად იმისა, რომ კანონისაგან აღკრძალულია ხაშხაშის ხმარება. ამის გამო საექიმო საბჭომ გადასწყვიტა სასტიკი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას.

◆ **დუშეთის მაზრის ზოგიერთ სოფლებში გასულ მარტის განმავლობაში სხვა და სხვა** გადამდებ სენით გამხდარან ავად. ქალაქ დუშეთში: მუცლადათი-5, მათ შორის 3 მორჩენილა, 1 გარდაცვლილა და ერთიც ავად არის. წითელითსამი, ორი მორჩენილა და ერთიც ავად არის ხუნაგით-11, მათ შორის 1 გარდაცვლილა და ათიც ისევ ავად არიან.

სოფელ დადსკედში მუცლადათი გამხდარა ავად 9, მათ შორის 7 მორჩენილა და 2 ავად არის; წითელათი—31, მათ შორის 22 მორჩენილა, 1 გარდაცვლილა და 8 ავად არის; სოფელ დგნალში მუცლადათი გამხდარა ავად-11, მათ შორის 6 მორჩენილა, 1 გარდაცვლილა და 4 ავად არის, სოფელ მცხეთაში ამავე ავადმყოფობით გამხდარა—სამი, მათ შორის ორი მორჩენილა დაერთიც ავად არის. სოფელ გუდრუხში წითელათი გამხდარა ავად—42, მათ შორის 36 მორჩენილა, 4 გარდაცვლილა და ორიც ავად არის.

◆ ტფ. საქალაქო 1 საავადმყოფოში მარტის 18-დან 1-ლ აპრილამდე მიუღიათ ქუნთრუშით ავადმყოფი 7 დან 9 დიფტერიტით; მათ შორის ორი გარდაცვლილა და ოთხიც გამოწერილან. ამ ხანად საავადმყოფოში 18 თავისუფალი ადგილია.

◆ 4 აპრილს, ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ტფ. გუბერნიის მცხოვრების ნიკ. ბიძინაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლა ბრალდებოდა. ოლქის სასამართლოს ბიძინაშვილი დამნაშავედ უცვნია აღნიშნულ ბრალდებაში და გარდაუწყვეტია ყოველივე განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევა და პატიმართა რაზმში სამი წლის ვადით გაგზავნა. ბიძინაშვილს სასამართლოს განაჩენი გაუსაჩივრებია პალატაში, რომელმაც დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება.

რუსეთის ქრონიკა

∝ ნაალდგომევს შინაგან საქმეთა სამინისტროში განსაკუთრებული კომისია შეუდგება სასოფლო პოლიციის დებულების გადასინჯვას. კომისიაში, სხვათა შორის, მიწვეულნი არიან სხვა-და-სხვა უწყებათა წარმომადგენლები, ზოგიერთი გუბერნატორები და მცოდნე პირები. „ნოვ. ვრ.“-ს სიტყვით, კომისიას უკვე მოუგროვებია დიდ-ძალი მასალა სასოფლო პოლიციის შესახებ, რომელიც ახლა შემოკლებით იბეჭდება და სახელმძღვანელოდ ექნება წევრთ.

∝ ჩვენ უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, რომ სამეურნეო საბჭოს ახლანდელ სესსიას, სხვათა შორის, წარედგინა განსახილველად საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ იქმნას გაძლიერებული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა მოღვაწეობა. ამ საკითხის გამო სესსიას წარედგინა პროექტი, რომლის შინაარსი მოკლედ შემდეგია. 1) უნდა ამაღლებულ იქმნას მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა; ამიტომ მათ საზოგადო სახელმწიფო დაწესებულების ხასიათი ან ხარისხი უნდა მიენიჭოთ; 2) ამის მიხედვით ამ საზოგადოებათ უნდა მიენიჭოთ ზოგიერთი შეღავათი: მაგალითად, კორრესპონდენციის მუქთად გაგზავნა, სახაზინო მიწების მუქთად დათმობა სხვა-და-სხვა სამეურნეო საჭიროებათათვის და სხვა; 3) საჭიროა საზოგადოებებში გამოცდილ და სასარგებლო პირთა სამსახურისათვის მიწვევა; ამისათვის მათ უნდა მიენიჭოს სახელმწიფო სამსახურის უპირატესობანი; 4) საჭიროა ამ საზოგადოებათა საშუალების გაძლიერება, რისთვისაც ხაზინიდან უნდა გადაიდვას ახლანდელ შემწეობის გარდა სხვა თანხაც მათის ბიბლიოთეკების, მუზეუმების და სხვ. შესანახად; 5) საჭიროა გაერთიანდეს ერთის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა მოღვაწეობა; ამისათვის უნდა დაწესდეს ერთის რაიონის სამეურნეო საზოგადოებათა კავშირი; 6) სწორედ ამ კავშირებს უნდა მისცეს სახელმწიფომ შემწეობა, რომელსაც იგი შემდეგ გაანაწილებს სხვა-და-სხვა საზოგადოებათა შუა; 7) რადგან ამ რიგად შემწეობის აღმოჩენა დიდ ხარჯს მოითხოვს მთავრობისაგან, ამიტომ პირველ ხანებში შემწეობა აღმოეჩინება იმ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათ, რომელნიც საერობო გუბერნიებში არიან; 8) უნდა შემუშავდეს უფრო მარტივი წესდება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა, რათა, რაც შეიძლება, მეტი რიცხვი დაარსდეს ამგვარ საზოგადოებისა.

∝ „პეტერბ. ვედ.“-ის სიტყვით, საერო განათლების სამინისტროს უკვე შეუდგენია ახალი წესდება უნივერსიტეტებისათვის, რომელსაც სახელმწიფო საბჭო მოკლე ხანში განიხილავს.

დაბა-სოფლები

ალაგირი. ამას წინად გწერდით, რომ ს. ალაგირში მშვენიერი ამინდია, ასე რომ ხეხილი ამწვანდა. ახლა სურათი გამოიცვალა: 3 აპრილს მოულოდნელად მოთოვა; ამ გარემოებამ ხალხი ძლიერ შეაწუხა; ხეხილი აღარ მოისხამს და ნათესობაც ნაკლები იქმნება; ახლა მეტად გაძვირდა თივა: ურემი თივა წინად იყიდებოდა 1 მან., ეხლა ჰყიდიან—6 მანეთად.

—

იქიდანვე. 31 მარტს, საღამოს 7 საათზე, ვიღაც ბოროტ-გამზრახველნი დაეცნენ თავს ხარკოვიდან მოსულ მუშებს, რომელნიც ტყეში მუშაობდნენ, და მოსტაცეს 5 ცხენი და 4 ხარი; მტაცებელნი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

—

ს. აწყური (თელავის მაზრა): ჩვენში მოსავალს ძალიან კარგი პირი უჩანს; ჯეჯილები მშვენიერი; ცოტა ზოგ დროს გვალვამ შეაწუხა, მაგრამ ღმერთმა გადმოგვხედა და აი დღეს, 24 მარტს, სწორეთ კარგ დროს მშვენიერმა მაისუბურმა ჟუჟუნა წვიმამ ჩვენი გული გაახარა. წვიმის დროს ქუხილიც იყო და ცოტა არ იყოს წვრილი ხორხოშელაც თან მოჰყვა. ამ გარემოებამ კი ცოტათი შეგვაფიქრა, რადგანაც სეტყვისაგან დაშინებულნი ვართ...

აქეთ ხალხის ავადმყოფობაა გაჩენილი; რაღაც მჭვალს ეტყვიან, ვისაც ის ეცა, შვიდის დღის მეტი აღარ აცოცხლა. სოფელი თუმცა პატარაა, მაგრამ ხანდახან ეკკლესიისკენ ორი მკვდარი მიჰქონდა მღვდელს. თელავი კარგა მოშორებით არის ჩვენზე; ასე რომ ექიმის მოწვევა ძალიან ძვირად გვიჯდება, თუმცა ფულიც რომ ჰქონდეს კაცს, ისიც საეჭვოა დროზე მოესწრობა ავადმყოფს ექიმი, თუ არა იმიტომ, რომ მთელ მაზრაში სულ ორიოდეა ექიმია.

პრესსა

ჩვენ ამას წინათ მოყვანილი გვქონდა სხვა-და სხვა მეცნიერთა აზრი ეგრედ წოდებულ „სათუო გასამართლების“ შესახებ. მათ სხვა-და-სხვა თეორეტიული მოსაზრება მოჰყავდათ იმის დასამტკიცებლად, რომ „სათუო გასამართლება“, ესე იგი დამნაშავის სასჯელიდან განთავისუფლება იმ შემთხვევაში, თუ მან პირველად ჩაიდინა დანაშაული რაიმე უბედურ შემთხვევისა გამო, მეტად კარგად მოქმედებს და შესამჩნევად ამცირებს ბოროტ-მოქმედებათა რიცხვს. ახლა გაზეთ „პრავო“-ში ბ. პიონტკოვსკის მოჰყავს საყურადღებო ცნობები იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვა გერმანიაში ამ წესის შემოღებას. როგორც სჩანს ციფრებითან, უმეტეს ნაწილად „სათუო გასამართლებას“ მშვენიერი გავლენა ჰქონია: 100 კაციდან, რომელნიც გაუნთავისუფლებიათ სასჯელიდან, 70-ს მთელს თავის სიცოცხლეში აღარავითარი უბრალო დანაშაულობაც აღარ ჩაუდენიათ. აღსანიშნავიაო, ამბობს ბ. პიონტკოვსკი, ის გარემოება, რომ

> „სათუოდ გასამართლებას“ უფრო კარგი გავლენა ქალებზე ჰქონია, ვიდრე მამა-კაცებზე; აგრეთვე უფრო კარგი გავლენა ჰქონია მას ხნიერ მამა-კაცებზე, ვიდრე ახალგაზდებზე. საზოგადოდ, ეს წესი მშვენიერს შთაბეჭდილებას ახდენს ყველა დამნაშავეებზე და იშვიათად მომხდარა, რომ სასჯელისაგან განთავისუფლებული წყნარი და რიგიანის ცხოვრების ადამიანი, ხელმეორედ დაბრუნებულიყოს დამნაშავის სკამზე.

ამრიგად გერმანიის პრაქტიკაც, სხვა ქვეყნების პრაქტიკასთან ერთად, ამტკიცებს, რომ მეცნიერთა თეორეტიული მოსაზრებანი მართალი ყოფილან და ამიტომ რაც უფრო მალე იქნება ეს წესი განხორციელებული რუსეთშიაც, მით უკეთესი იქნება ჩვენის ქვეყნისათვის.

⁂

„მწყემს“-ს შემდეგი ახირებული განცხადება მოსვლია:

> „მის მაღალ ღირსებას ბ. რედაქტორს დ. დ. ღამბაშიძეს, ძირითადი საპატივო გლეხის გ—გია კონჭიაშვილისაგან განცხადება.
>
> განსვენებას არ მაძლევს ჩემი თავმოყვარეობა იმ დროს აქეთ, რაც უბედურება ეწვია შემახელებს. მე ისეთი უგრძნობელი კაცი არ გახლავართ, როგორც ზოგიერთები. მეტად შემტკივა გული გაჭირვებულებზე. მე დავბეჭდე ამას წინად ლექსები, მაგრამ საუბედუროდ ჩემდა არავინ იყიდა. შემიწირავს ორასი ცალი ამ ლექსებისა რედაქციისათვის იმ პირობით, რომ რედაქციამ თავის ხელის მომწერლებს მიჰყიდოს ან ეკკლესიებზე გაასაღოს და შემოსული ფული გაგზავნოს შემახელების სასარგებლოდ. ვსთხოვ რედაქციას მაცნობოს მიიღებს თავის თავზე ამ დარჩენილი ლექსების გაყიდვას, თუ არა? ლექსები თუმცა მე დამიჯდა თითო შაური, მაგრამ ნებას ვაძლევ რედაქციას თითო ცალი ათ შაურად გაყიდოს. გ—გია კონჭიაშვილი.“

ამ უცნაურს განცხადებას „მწყემსი“-ს რედაქცია თავის მხრით დასძენს:

> „სწორედ სასაცილო განცხადება არის, რომ სამწუხარო არ იყოს. რა დრო დადგა და როგორ დაავიწყდათ მაცხოვრის სიტყვა: „ქველის საქმეს ასრულებდეთ ფარულადო“. ეს გამომდგარა და უსირცხვოდ ჟურნალებშიც კი აცხადებს! მერე რა სახით? წიგნები დაუბეჭდავს, ვერ გაუსაღებია და ბოლოს ძალით უნდა გაყიდოს ხელის მომწერლებზე და ეკკლესიებზე!.. ვაი იმ საზოგადოების ბრალი, სადაც ამისთანა თავმოყვარე ქველ-მომქმედები გამრავლდებიან და რომელთაც პირფერობა და ბტკნარი ამპარტავნება სულის მოთხოვნილებად გარდაქცევიათ“.

„მწყემსი“-ს რედაქციის შენიშვნას ჩვენ მხოლოდ ამას მივუმატებთ, რომ ამ ბოლო დროს მეტად გავრცელდა უბადრუკ „პოეტთა“ რიცხვი და რაკი თავიანთ ნაწარმოებს მუშტარი ვერ უშოვნეს, ქველ-მოქმედების სახელით უნდათ გააცნონ სხვებს თავიანთი „ნაჯახირები“ ლექსები“. ამას ვინღა ჩივის, ჯაგლაგი „პოეტები“ ამის შემდეგ სულ იმის მონატრულნი იქნებიან, რომ ერთ-ერთი ქალაქი კიდევ დაინგრეს სადმე, რომ მათს „თავ-მოყვარეობას განსვენება არ მიეცეს“. და ამ გზით ქველ-მოქმედება გამოიჩინონ და... მე ხომ მოგეხსენებათ, „წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო“.

უცხოეთის წვრილი ამბები

ბუენოს-აირეში (სამხრეთი ამერიკა) გამოდის ერთი მეტად შესანიშნავი გაზეთი, სახელად „პრესსა“. ეს გაზეთი გამოდის დღეში ასი ათასი ცალი (ეს ამერიკული გაზეთისთვის ბევრი არ არის) და წელიწადში მილიონ ნახევარ მანეთს წმინდა მოგებას იძლევა. ეს გაზეთი დაარსდა 1869 წელს და ცოტ-ცოტად ამ დიდებულს მატერიალურს მდგომარეობამდის მიაღწია. გაზეთის რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სასახლეში, რომელიც გამომცემელს დაუჯდა ხუთი მილიონი მანეთი. სახლის ბანზე ამართულია ბრინჯაოს ქანდაკება—ემბლემა პრესისა, რომელსაც ხელში უჭირავს უშველებელი ელექტრონის ფარანი, რომელიც მოჰფენს სინათლეს შორს არე-მარეს. ეს ფარანი იმ სამსახურს უწევს რედაქციას, რომ ღამე საზოგადოებას აუწყებს დიდად საგულისხმიერო ამბებს, რომელიც ეს არის ეხლა მიიღო რედაქციამ. ამგვარად, ყვითელი შუქი ფარნისა ნიშნავს ბრიტანიის ჯარების გამარჯვებას, მწვანე ბურების დღესასწაულს.

ვრცელი ეზო დახურულია შუშის ბანით. აქ საღამოობით თავს იყრის 2,500 კაცი, და რედაქტორები მეორე სართულის ბალკონიდან აუწყებენ საზოგადოებას უკანასკნელ ახალ ამბებს. რედაქციის სასახლეში, გარდა ამისა, არის დიდებული დარბაზი თავის მოსაყრელად, უდიდესი წიგნთსაცავი, ბილიარდის ოთახი, ქიმიური ლაბორატორია, რომელიც ღიაა არგენტინის ყველა მოქალაქესათვის; ამბულატორია, რომელშიაც საექიმო შემწეობას აძლევს ერთი მთავარი ექიმი, რომელსაც ხუთი ასისტენტი ჰყავს თავის განკარგულებაში და ბიურო, სადაც ხალხს აძლევენ მუქთად იურიდიულ რჩევას. იმავე შენობაში უკითხავენ საზოგადო ლექციებს ბიოლოგიიდან და სოციოლოგიიდან.

დილით გაზეთში ყველა მომუშავეთათვის, რედაქტორებიდან დაწყობილი (ექვსი რედაქტორია) ასოთ ამწყობებამდის, იმართება ჩინებული საუზმე საუზმის შემდეგ მსურველნი მიდიან იქვე იარაღით სავარჯიშო დარბაზში.

* *

„პეტერბ. გაზეთი“ ერთს ანეგდოტსა სწერს ახლად გარდაცვალებულ გლებ უსპენსკის შესახებ.

ერთხელ სამხატვრო აკადემიის გამოფენაზე გლებ უსპენსკის სურათიც იყო მოთავსებული. ეს სურათი გამოჩენილ მხატვარ კრამსკისაგან იყო დახატული და, მართლაც, საუცხოვო რამ იყო.

უსპენსკის, საზოგადოდ არ უყვარდა ბევრ ხალხში გაჩხირვა და ამიტომაც ყოველთვის ერიდებოდა ხოლმე გამოფენებსა და სხვა ისეთ ადგილებსაც, სადაც ასობით და ათასობით ტრიალებენ. მაგრამ ამ გამოფენაზე კი მაინც ძალად წაიყვანა ერთმა თავისმა ნაცნობმა ლიტერატორმა, რომელიც ეხლაც ცოცხალია.

უსპენსკიმა და იმისმა ნაცნობმა სწორედ იმ დარბაზში გაიარეს, სადაც უსპენსკის სურათი იყო გამოფენილი. ჯერ კიდევ არ გასცდენოდნენ ამ დარბაზს, რომ უეცრად მიუახლოვდა ერთი ზორბა ვაჟბატონი, რომელსაც საათის ოქროს ძეწკვი და ბრილიანტებით აბრჭყვრიალებული ჟეტონი ლაზათიანად გადმოეგდო დარბაისელ ღიპზე, ხელი-ხელში ჩაავლო უსპენსკისა და სრულიად მოურიდებლად და აღტაცებულის ხმით შესძახა:

— რა მოხარული ვარ, რომ შეგხვდით. დიდათ, დიდათ მიხარიან!.. სწორედ ამ წუთას ვიყიდე თქვენი სურათი.

— რამ გაფიქრებიათ ჩემის სურათის ყიდვა?— გაკვირვებით შეეკითხა უსპენსკი.

— იმან მაფიქრებინა, რომ დიდი თაყვანის-მცემელი გახლავართ თქვენის ნაწარმოებისა,—მიუგო ზორბა ვაჟბატონმა, ერთხელ კიდევ გულიანად ჩამოართვა ხელი და მეორე დარბაზში გავიდა.

— ვინ არის ეს უცნაური ადამიანი?—ჰკითხა უსპენსკიმ თავისს თანამგზავრს.

— როგორ, განა ვერ იცნობ? ეგ ხო, სახელგანთქმული, არაყის ქარხნის პატრონი ს—ა.

— შენ ჩემო თავო!—გაიოცა უსპენსკიმ და საჩქაროდ გამოუდგა თავისს თაყვანის-მცემელს

უსპენსკი მიუახლოვდა ქარხნის პატრონს და თავაზიანის კილოთი შეეკითხა.

— მინდა გკითხოთ, სად შემიძლიან თქვენის სურათის ყიდვა?

— ჩემის სურათისა?—გაკვირვებით წამოილაპარაკა ს—მ და იამა კიდეც, რომ ასეთი ყურადღება მიაქცია გამოჩენილმა კაცმა.

— დიახ, თქვენის სურათისა. თუ დახატული არ არის, ფოტოგრაფიულად გადაღებული მაინც იქნება სადმე და მინდა ვიყიდო...

— რამ გაფიქრებინათ ჩემის სურათის ყიდვა?— შეეკითხა ს.

— იმან მაფიქრებინა, რომ მეც დიდი თაყვანისმცემელი გახლავართ თქვენის ნაწარმოებისა—მიუგო უსპენსკიმ.

si non é vero...

სასამართლო

გუშინ-წინ, 6 აპრილს, ტფ. სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე სამთო ინჟენერის ივანე ზენკოვისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა.

საქმის გარემოება ასეთია: შარშან გიორგი სხირტლაძის რესტორანში ცალკე სტოლთან მსხდარან განჯის გუბერნიის მემამულენი ძმები იბრაჰიმ-ბეგოვი და სულტან მეჯი-ბეგ მურადოვები. მათ მოშორებით მსხდარან სამთო ინჟენერი ივანე ზენკოვი, მასთან მცხოვრები ნინო ცომაიასა და კაპიტანი ნედოსეკატი. წარმოდგენის პროგრამის ერთი ნომერი დამსწრეთ მოსწონებიათ და ხმა მაღლა გამოუცხადებიათ თავისი მოწონება არტისტისათვის. ეს არ მოსწონებია ზენკოვს, რომელიც ცოტა შეზარხოშებულიც ყოფილა, წამომდგარა და რესტორანში მყოფთათვის მიუძახებია; „ვირებო, კავკასიის ვირებო“ და შემდეგ მიბრუნებია იბრაჰიმ-ბეკოვს, დაუწყია მისთვის ყურება და რამდენჯერმე უთქვამს: „ვირო“. როდესაც იბრაჰიმ-ბეკოვი შეჰკითხებია ზენკოვს: ვის ეკუთვნის ეგ სიტყვებიო, მას უპასუხნია: შენ რა იქნება, თუნდაც შენ გეკუთვნოდეს, რა გადრიალებს, შე ვიროვო! ამაზე იბრაჰიმ-ბეკოვი ისე გამწარებულა, რომ წამოვარდნილა და მოუნდომებია ზენკოვისთვის გარტყმევა და, ზოგი მოწმეების ჩვენებით, კიდეც გაურტყამს. ამ დროს ზენკოვიც წამომდგარა; შუაში ჩასდგომიათ ცომაიას ქალი და ნედოსეკატი გასაშველებლად. უეცრად ზენკოვს ამოუღია რევოლვერი და უსროლია იბრაჰიმ-ბეკოვისათვის. იბრაჰიმს მიეშველებია უმცროსი ძმა სულტანი, რომელსაც ხანჯლით მარცხენა ბეჭში დაუჭრია ზენკოვი. მაშინ ზენკოვს მეორეჯერ უსროლია რევოლვერი, მაგრამ ორჯელვე აუცდენია.

ტფ. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია სამთო ინჟენერი ზენკოვი და გარდაუწყვეტია ყოველივე განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევა და ტობოლის გუბერნიაში საუკუნოდ გადასახლება. ზენკოვს ოლქის სასამართლოს განაჩენი გაუსაჩივრებია სამოსამართლო პალატაში, სადაც დაუმტკიცებიათ ოლქის სასამართლოს განაჩენი.

ზენკოვი არც ამ გარდაწყვეტილებას დასჯერებია და საქმე გაუსაჩივრებია სენატში. სენატს დაურღვევია პალატის გარდაწყვეტილება და დაუდგენია ხელმეორედ საქმის გარჩევა.

პალატამ გუშინ განიხილა ეს საქმე, ისევ დამნაშავედ იცნო ზენკოვი, მაგრამ წინანდელ სასჯელის ნაცვლად გარდაუწყვიტა სამხედრო საპატიმროში ერთის თვის ვადით დაპატიმრება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

5 აპრილი

პეტერბურგი. სოფიიდან მთავრობის მინდობილობით ბოლგარიის წარმომადგენელმა პეტერბურგში ბოლგარიის მთავრობის სახელობით სამძიმარი გამოუცხადა რუსეთის მთავრობას მინისტრის სიპიაგინის გარდაცვალების გამო.

მიტავა. ლატიშების საზოგადოებამ დაადგინა დეპუტაცია გაჰგზავნონ პეტერბურგს თავის საპატიო წევრის, წინად კურლანდიის გუბერნატორად ნამყოფის, მინისტრის სიპიაგინის საფლავის გვირგვინით შესამკობლად.

კრონშტადტი. ყინულის მჭრელი გემი „ერმაკ“-ი ზღვიდან შემოვიდა.

ერევანი. შუამდგომლობა დაიწყეს, რომ ერევანსა და ნახჩევანში მებაღეობისა და მეფუტკრეობის სკოლები გახსნან.

კელცი. ივანგოროდ-დომბროვოს გზაზე სამონლის მატარებელი დაეჯახა საქონლისავე მეორე მატარებელს სადგურს „კლიუკ“-ზე. ერთი ვაგონი დაიმსხვრა, ორთქლ-მავალი და ცხრა ვაგონი დაზიანდა; ერთი ქალიც დაშავდა.

ლონდონი. გაზ. „დეილი მეილ“-ი დაბეჯითებით ამბობს, რომ პრეტორიაში უკვე შეიმუშავეს მორიგების პირობებიო. ბურებს ფორმალურად არ წარმოუდგენიათ თავიანთი პირობები, ინგლისმა კი გამოუცხადა, რომ დამარცხებული მოვალეა დაჰნებდეს გამარჯვებულის პირობებს, რადგან ამ შემთხვევაში ზავის ხელშეკრულობაზე არ არის ლაპარაკიო. მას შემდეგ, როცა ინგლისმა გამოაცხადა, რომ ჩემი პირობები შეუცვლელად რჩებაო, უმთავრესი მუხლები ამ პირობებისა ბურებმა მიიღეს.

როტერდამი. გაზეთს „ნევე როტერდამიშე კურანტ“-ს სარწმუნო წყაროებიდან შეუტყვია, რომ ინგლისსა და ბურებს შორის ზავის შესახებ მოლაპარაკება მოსპობილია, რადგან ამათ შორის შეთანხმება არ მოხერხდა.

ჰააგა. დედოფალი ხურვებით არის ავად. ჯერ-ჯერობით ნორმალურად მიმდინარეობს ავად-მყოფობა.

ფოთი. აქედან ოთხის ვერსის მანძილზე ზღვამ გამოირიყა გემი „პეტრ კარპოვ“-ი, რომელიც შუაღამისას გავიდა ფოთის ნავთსადგურიდან. ზღვა მეტად ღელავს და ნავით მუშაობა შეუძლებელია. იალქნებზედ შერჩენილ მეზღვაურთა გადმოყვანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ საღამოს.

პეტერბურგი. ქალაქებ ტვერიდან, ტომსკიდან, ეკატერინოსლავიდან, პერმიდან, მინსკიდან, სედლეციდან, ირკუტსკიდან და კალუგიდან იტყობინებიან, რომ დ. ი. სიპიაგინის სულის მოსახსენებლად პანაშვიდები გადაიხადეს.

6 აპრილი

პეტერბურგი. რადგან გზათა საქმეების მინისტრი ზოგიერთი რკინის გზების დასათვალიერებლად წავიდა, მიმდინარე საქმეების მართვა სამინისტროში მიენდო მინისტრის თანაშემწეს, ტაინი სოვეტნიკს მიასოედოვ—ივანოვს. განსვენებულ მინისტრის სიპიაგინის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაუხდიათ პლოცკში, ბორისოგლებსკში, ასხაბადში და ნიკოლაევში.

მოსკოვი. ცეცხლის მქრობელთა სხდომაზე გამოითქვა ის აზრი, რომ დაარსდეს ადგილობრივი კოლეგიური დამფასებელთა დაწესებულება, წესიერად დასაფასებლად,— რომ არ გადახდეს სადამოენო ხარჯი ცეცხლის საქრობ იმ მანქანებზე, რომლებსაც საზღვარ გარეთიდან მოიტანენ და ხელი შეუწყოს ცეცხლის მქრობ იარაღების საიჯარო მრეწველობას.

ნოვო მარგელანი. შუა ღამის ორ საათზე დედამიწიდან მოისმა გუგუნი და მიწა იძრა. უბედურება არა მომხდარა რა.

ლოძი. დააპატიმრეს დედა-კაცი, რომელიც გასაზრდელად მიბარებულ ბავშვებს შიმშილით ჰკლავდა.

ჰააგა. ბურთა დელეგატმა ვოლმარანსმა უთხრა რეპორტერს, რომ არავითარი ცნობები არა აქვს იმის შესახებ, რომ მშვიდობიანობაზე მოლაპარაკება სამხრეთ-აფრიკაში შეწყვეტილი იყოს, და რომ საზოგადოთ დაწვრილებითი ცნობები ამის შესახებ არა აქვს რა.

ლონდონი. პალატა. ბალფურმა განაცხადა, რომ ბურთა დელეგატების თხოვნით მილნერსა და კიტჩენერს მათთან მოლაპარაკება ჰქონდათ. კიტჩენერმა უარჰყო დროებითი შერიგება, მაგრამ დათანხმდა ამორჩიონ სხვა-და-სხვა რაზმთა წარმომადგენელნი რომ ერთად მოილაპარაკონ საქმის მდგომარეობაზე. ამისათვის ბურთა სარდალნი წავიდნენ პრეტორიიდან.

ბრიუსელი. წინადადება კონსტიტუციის გადათვალიერების შესახებ უარყოფილია 84 ხმის უმეტესობით, წინაამდეგ 64 ხმისა.

პეტერბურგი. ეკატერინბურგის ეპისკოპოსი ირინეი დაინიშნა ორლოვსკის და სევსკის ეპისკოპოსად, ხოლო ორლოვსკისა ნიკანორი—ეკატერინბურგის და ირბიტის ეპისკოპოსად.

დეპეშის გასწორება. ბაქოდან დეპეშა ასე უნდა ყოფილიყო: ბუხარის ემირი იალტიდან ბაქოში მოვიდა.

პეტერბურგის ბირჟა 5 აპრილს

ვექსილის კურსი 6 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,20	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,95	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,72½	
ბირჟის დისკონტი	4½—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	96⅝	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99	„
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	466	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	356½	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	302	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	89½	„
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	189	„

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ბიბლიოთეკა

ზ ი ს
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
გერის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.
ტელეფონი № 754. (წ.).



ქართ. ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ
საკერავს:
კაბებს, წამოსასხამებს საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს, (მეტკებს).
ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

ორშაბათს, 25 მარტს, გაიხსნა ტფილისში, მადათოვის კუნძულზე,
ფ. ი. ფეცის დიდი მუზეუმი.
მუზეუმში 100-მდე სხვა-და-სხვა საგანია. მრავალი ახალი სანახავი! სცენაზე ბევრი ახალი სანახავია პარიზიდან: 1) დაფნა, დევნილი აპპოლონისაგან; 2) გალატეა, მარმალილოს პატარძალი და სხვა. მუზეუმი გახსნილია ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 11-მდე; წარმოდგენების დასაწყისი ნაშუადღევის 2-დან. დაწვრილებით იხ. აფიშებში. (20—17)

მაღაზია
ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა
ქ. ქუთაისში
გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას**, რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარგარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გალუნული ბამბუკის ხახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გარეთელი გიტარები, კრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკკლესიო კუთვნილებანი.
ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ**.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულს საზოგადოებას, **რომ ამ წლის 1 მარტიდან** ჩვენგან ახლათ გაღებულს
სახელოსნოში მიიღება ყოველგვარი ხის საქმე
სახელდობრ: სახლის ავეჯეულობა, სკოლის ავეჯეულობა, ეკკლესიის კანკელები, მშენობების კარ-ფანჯარა, „პადეზდის“ კარები და სხვა. სახელოსნოს მშრალ სახლებში მოთავსება-მოწყობა და ჩვენს საქმეში 30 წლის გამოცდა გვაბედვინებს დავაიმედოთ მუშტარი, რომ ჩვენს სახელოსნოში გაკეთებული საქმე საიმედო იქნება. ამისათვის სახელოსნო კისრულობს პასუხის გებას. აგრეთვე სახელოსნოვე კისრულობს ქალაქ გარედაც გაგზავნოს თავისი სეული ნივთები, სადაც კი ურმის გზა არის, რომ მუშტარს გაუადვილოს შრომა.
ადრესი: ფასანაურის ვიწრო ქუჩა (ვერაზე), საკუთარი სახლი, № 16.
(10—6) სახელოსნოს პატრონები ძმ. ვ. და დ. გოცირიძეები.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი-საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—22)

Дозволено цензурою Тифлисъ, 5 Апрѣля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტ. მ. წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.